

დამტკიცებულია
სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ
დადგენილება # 102 ოქმი # 16 "11" სექტემბერი 2013წ
სპიკერი, ასოც. პროფესორი



რ. თათეშვილი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურისა და სპორტის განყოფილების დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში – უნივერსიტეტი) კულტურისა და სპორტის განყოფილება (შემდგომში – განყოფილება) წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულს.
2. განყოფილება თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონებით, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, უნივერსიტეტის წესდებით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით და წინამდებარე დებულებით.
3. დებულება განსაზღვრავს განყოფილების ფუნქციებსა და საქმიანობის ძირითად მიმართულებებს.

მუხლი 2. განყოფილების ძირითადი მიზანი, ფუნქციები და საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

1. განყოფილების ძირითადი მიზანია უნივერსიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო და სპორტული მიმართულებით განვითარების ხელშეწყობა, უნივერსიტეტში კულტურული და სპორტული ღონისძიებების მოწყობა, განხორციელებული პროექტების შეფასება და შედეგების მიხედვით მომდევნო ღონისძიებების დაგეგმვა.
2. განყოფილებაში არსებობს შემდეგი მიმართულებები:
 - ა) საზოგადოებრივ საწყისზე არსებული სტუდენტური თეატრი;
 - ბ) ქორეოგრაფიული ანსამბლი;
 - გ) ფოლკლორული ანსამბლი;
 - დ) ხმის ჩამწერი სტუდია.
3. განყოფილებაში არსებობს შემდეგი სპორტული სექციები
 - ა). ფეხბურთი;
 - ბ). ფრენბურთი;
 - გ). კალათბურთი და სხვა.

მუხლი 3. განყოფილების სტრუქტურა

განყოფილების სტრუქტურაში შედის ორი საშტატო ერთეული:

- ა). განყოფილების უფროსი
- ბ). სპეციალისტი სპორტის მიმართულებით (1 საშტატო ერთეული);
- გ) სპეციალისტი კულტურის მიმართულებით(1 საშტატო ერთეული).

მუხლი 4. განყოფილების უფროსის უფლება-მოვალეობები

1. განყოფილების უფროსი:
 - ა) უზრუნველყოფს განყოფილების საქმიანობის წარმართვას;
 - ბ) უზრუნველყოფს განყოფილების საქმიანობის ეფექტურად განხორციელებისათვის ძირითადი საშუალების დაგეგმვას;
 - გ) შუამდგომლობს უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან განყოფილების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო საკითხების გადაწყვეტაზე;

დ) ხელს უწყობს საქართველოს და საზღვრაგარეთის სხვადასხვა სტუდენტურ და ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან და ცენტრებთან ურთიერთობების დამყარებას;

ე). უფლებამოსილია დასვას ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წინაშე საკითხები: სამსახურში სტრუქტურული ცვლილებების (შტატების გაფართოება ან შემცირება) თანამშრომელთა წახალისებისა და დისციპლინარული პასუხისმგებლობის შესახებ. ასევე შუამდგომლობს შტატგარეშე პერსონალის მიღება-გათავისუფლებაზე, რომელთა სამსახურეობრივ უფლებამოსილებებს განსაზღვრავს განყოფილების უფროსი.

2. განყოფილების უფროსი ანგარიშვალდებულია რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წინაშე.

მუხლი 5. სპორტის სპეციალისტის უფლება-მოვალეობები

სპორტის სპეციალისტი:

ა). უზრუნველყოფს უნივერსიტეტის სპორტულ სექციებში სტუდენტთა მომზადებას;

ბ). უზრუნველყოფს, სპორტული ღონისძიებების მოწყობას განყოფილების უფროსთან შეთანხმებით;

გ). ახდენს განხორციელებული სპორტული პროექტების შეფასებას და მომდევნო ღონისძიებების დაგეგმვას;

დ). ასრულებს განყოფილების უფროსის ცალკეულ მითითებებს.

მუხლი 6. კულტურის სპეციალისტის უფლება-მოვალეობები

კულტურის სპეციალისტი:

ა). ხელს უწყობს უნივერსიტეტის კულტურული ცხოვრების განვითარებას;

ბ). უზრუნველყოფს, კულტურული ღონისძიებების მოწყობას განყოფილების უფროსთან შეთანხმებით;

გ). ახდენს განხორციელებული კულტურული პროექტების შეფასებას და მომდევნო ღონისძიებების დაგეგმვას;

დ). ასრულებს განყოფილების უფროსის ცალკეულ მითითებებს.

მუხლი 7. განყოფილების პერსონალის შრომით-სამართლებრივი ურთიერთობები

1. განყოფილების პერსონალის, როგორც დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესს, მისი შრომის ანაზღაურების ოდენობასა და პირობებს ადგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს.

2. განყოფილების პერსონალთან შრომით-სამართლებრივი ურთიერთობები რეგულირდება საქართველოს შრომის კოდექსისა და შრომითი ხელშეკრულების შესაბამისად.

მუხლი 8. სამსახურეობრივი პასუხისმგებლობა

განყოფილების პერსონალი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვაზე, საქმიანობის პროცესში ჩადენილ მართლსაწინააღმდეგო ქმედებაზე და მისი მიზეზით უნივერსიტეტისათვის მიყენებული ზარალისათვის. ჩადენილი კანონსაწინააღმდეგო ქმედებისათვის პასუხს აგებს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 9. განყოფილების რეორგანიზაცია და გაუქმება

განყოფილების რეორგანიზაცია ან გაუქმება ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით

მუხლი 10. დასკვნითი დებულებანი

1. განყოფილების დებულებას ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო.

2. დებულებაში ცვლილებების შეტანა ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.